პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ხუთშაბათი 26 ივნისი № 147 (17790) ფასი 2 კაპ.

გუშინ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეათე მოწვევის მესამე სესიამ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებით გამოწვეული დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში სესიის მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში ერთსულოვნად მოიწონეს ლენინური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ბუნებისათვის ზრუნვა მომავლისათვის ზრუნვაა

სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შთამაგონებელ გადწყვეტილებათა უდიდესი ზეგავლენით 25 ივნისს მოსკოვში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

დეპუტატებმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს პლენუმის დადგენილებების, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების დიდი დამრაზმველი ძალა. ხალხის სრულფლებიანმა წარმომადგენლებმა, რომლებიც გამოხატავენ თავიანთი ამომრჩევლების აზრებსა და გრძნობებს, ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პრინციპული მშვიდობისმოყვარული კურსი, ჩვენი სამშობლოს დაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებანი, კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის სტრატეგია. ორატორებმა აღნიშნეს, რომ მზადება სკკპ XXVI ყრილობისათვის, რომელიც ახალ პირიზონტებს დაუსახავს ქვეყანას, საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ამაღლების მძლავრი ბერკეტი იქნება.

საბჭოეთის მშვიდობიანი მისწრაფებების, ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის მნი დაუცხრომელი ზრუნვის მკაფიო დადასტურებაა თვით სესიის დღის წესრიგი.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული დილის სხდომა გაიხსნა კრემლის დიდ სასახლეში.

დეპუტატები და სტუმრები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, დ. ა. კუნაევს, ა. ი. პელშეს, გ. ვ. რომანოვს, მ. ა. სუსლოვს, ნ. ა. ტიხონოვს, დ. თ. უსტინოვს, კ. უ. ჩერნენკოს, ვ. ვ. შჩერბიცკის, გ. ა. ალიევს, მ. ს. გორბაჩოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, პ. მ. მაშეროვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს.

სხდომის თავმჯდომარეა — კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. შიტიკოვმა. დამსწრეთ აცნობა, რომ პალატების ცალ-ცალკე სხდომებზე დამთავრდა კამათი დღის წესრიგის პირველი საკითხის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ პალატებში ცალ-ცალკე კენჭისყრით ერთხმად მიიღო სსრ კავშირის კანონი სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების ძირითად უფლებამოსილებათა შესახებ.

ერთხმად მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.

შემდეგ სესია შეუდგა დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვას.

მოხსენება „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ სსრ კავშირის კანონისა და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტების თაობაზე“ გააკეთა კავშირის საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიის თავმჯდომარემ **მ.-ხ. ი. უმახანოვმა.**

მოხსენების გამო კამათი გახსნა სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. ა. იზრაელმა** და დამსწრეთ გააცნო ის დიდი მუშაობა, რომელსაც ეწევიან ჩვენს ქვეყანაში გარემოს დაცვისა და გაუმჯობესებისათვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის.

ძირითადად ამ მიმართულებით დიდი წარმატებებია მიღწეული. მაგალითად, შედარებით გაწმენდა მდინარეები საბჭოთა კავშირის თითქმის მთელ ტერიტორიაზე. ბევრ ქალაქში სტაბილიზებულია ან შემცირდა ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების დონე.

სსრ კავშირში შექმნილია და უკვე მოქმედებს გარემოს გაჭუჭყიანების დონისადმი დაკვირვების და კონტროლის საერთო სახელმწიფო სამსახური. ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების კონტროლი წარმოებს 450 ქალაქში.

შემდეგ ორატორი შეეხო ჩვენი ქვეყნის აქტიურ მოხაწილეობას საერთაშორისო საქმიანობაში, რომლის მიზანია გარემოს შენარჩუნება და გაუმჯობესება.

ჩვენი ქვეყანა სამშობლოა პირველად მსოფლიოში მეცნიერულ საფუძველზე შექმნილი და კანონმდებლობით დამკვიდრებული გარემოს გამოყენების, გაუმჯობესებისა და დაცვის სოციალისტური სისტემისა. ეს ხაზგასმით აღნიშნა პარტიის ცენტრმორის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. მ. კავუნმა.** სესიაზე განსახილველი კანონპროექტების ძირითადი დებულებების მიზანია ისეთი ეკოლოგიური გარემოს შექმნა, რომელიც შეესაბამება ადამიანთა სოციალურ და ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს. ბუნების დაცვის მთავარი და საბოლოო მიზანია საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

ორატორს მიაჩნია, რომ საჭიროა პოლიციის ბიოსფერული ნაკრძალის შექმნა. მან გამოთქვა მთელი რიგი წინადადებანი, რომელთა მიზანია ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენება და განაცხადა: ჩვენი მიწა და მისი სიმდიდრე ფასდაუდებელი საერთო-სახალხო კუთვნილებაა. ჩვენი შესანშნავი ბუნებისადმი სათუთი დამოკიდებულება თითოეული საბჭოთა ადამიანის ცხოვრებისეული პრინციპი უნდა გახდეს.

ბუნების დაცვა, მის სიმდიდრეთა გამრავლება საჭიროა საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის, მისი ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის, თქვა უზბეკეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ნ. მ. მახმუდოვამ.** მან დაწვრილებით გააანალიზა ღონისძიებანი, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება ამ მიზნით.

რესპუბლიკის პროფკავშირები, აღნიშნა შემდეგ დეპუტატმა, მუდამ დიდ ყურადღებას უთმობენ გარემოს დაცვის საკითხებს. მიუხედავად ამისა არის შემაშფოთებელი ფაქტები. მთელი რიგი ქარხნები და ფაბრიკები კვლავ აჭუჭყიანებენ ატმოსფეროსა და წყალს. არ აღმოფხვრილა ბუნებისადმი მუშტრული დამოკიდებულების შეთხვევები, დეპუტატი დაწვრილებით შეეხო ამ ნეგატიური მოვლენების დაძლევის გზებს.

განსახილველი კანონპროექტების საერთო სახელმწიფო მნიშვნელობა აღნიშნა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა დეპუტატმა **ჰ. პ. ვავილოვმა.** საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს ქვეყანაში პარტიისა და სახელმწიფოს ზრუნვის შედეგად, თქვა მან, ამოწყდომისაგან იხსნეს გადაშენების პირას მისული სახეობათა ცხოველები, განხორციელდა ზღვის ნადირის, თევზის სიმდიდრეთა დაცვის დიდი ღონისძიებანი. კანონის შესაბამისად ცხოველთა სამყარო, სახელმწიფო საკუთრება, მთელი ხალხის კუთვნილებაა. დეპუტატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრის შემოღებას. ეს ხელს შეუწყობს ცხოველთა მთელი ერთობლიობის მდგომარეობისადმი კონტროლს. კანონის ყოველი მუხლი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფუნდამენტური ეკოლოგიური დასაბუთებით. ამისათვის საჭირო იქნება სხვადასხვა პროფილის მეცნიერთა გაერთიანებული მეცადინეობა, კონკრეტული კომპლექსური მეცნიერული პროგრამა. ამ მუშაობას, ორატორის აზრით, სათავეში უნდა ჩაუდგეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია.

ტრიბუნაზეა სვერდლოვსკის ოლქის საწარმოო გაერთიანება „ურალმანქანის“ გენერალური დირექტორი დეპუტატი **ე. ა. ვარნაჩევი.** მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ქვეყნისათვის განსახილველ კანონპროექტებს და დაწვრილებით შეეხო ამოცანებს, რომლებიც ამასთან დაკავშირებით დგას შუა ურალის მშრომელთა წინაშე.

სვერდლოვსკის ოლქში შემუშავებულია ბუნების დაცვის ღონისძიებათა პერსპექტიული კომპლექსური პროგრამა. მის შესაბამისად გაერთიანება „ურალმანქანა“, მაგალითად, უახლოეს წლებში გარემოს დაცვაში თითქმის სამჯერ მეტს დაანდებს. მაგრამ საქმეს აფერხებს ტექნიკურ საშუალებათა ნაკლებობა. დეპუტატს საჭიროდ მიაჩნია დაჩქარდეს ნამუშევარი წყლისა და ჰაერის საწმენდი მაღალეფექტიანი საშუალებების შექმნა, ახალი, უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიების შემუშავება.

ორივე კანონპროექტი ემსახურება კეთილშობილურ და ჰუმანურ მიზნებს — ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზრუნვას, ბუნების დაცვისათვის ზრუნვას ახლადდელი და მრავალი თაობების ინტერესების შესაბამისად.

დეპუტატებმა პალატებში ცალ-ცალკე კენჭისყრით ერთხმად მიიღეს სსრ კავშირის კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ და სსრ კავშირის კანონი „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“.

მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი ამ კანონების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.

სესია შეუდგა დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას.

დეპუტატ დ. ა. კუნაევის წინადადებით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დეპუტატი ი. აბდუქარიმოვი გაათავისუფლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან და აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ ყაზახეთის სს რესპუბლიკისაგან დეპუტატი **ს. ნ. იმაშევი.**

დეპუტატ ი. ი. ბოდიულის წინადადებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ მოლდავეთის სს რესპუბლიკისაგან არჩეულია დეპუტატი **ი. პ. კალინი.**

სესიაზე დეპუტატი თ. ა. ტაბაევი გაათავისუფლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან იმასთან დაკავშირებით, რომ იგი დაინიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად აღიანეთის მეოქკატიულ რესპუბლიკაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩეულია დეპუტატი **რ. მ. მუსინი.**

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **მ. პ. გიორგაძემ.** სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

ამით სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ მუშაობა დაამთავრა.

(საკადესი).

საკადეს-საქინფორმის ტელეფოტო.

სესიის დარბაზიდან

მოსკოვი, 25 ივნისს კრემლში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს III სესიამ. სურათზე: საბოლოო სხდომის დროს.



განვაცხორციელოთ პარტიის გეგმები

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ღრმა კმაყოფილებით, მზურვალედ, ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ საქართველოს მშრომელები ამ დღეებში გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებს, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმამნიშვნელოვან მოხსენებას. მშრომელთა აქტიურობის ზრდასა და ენთუზიაზმს განსაკუთრებული იმპულსი მისცა ცნობამ იმის შესახებ, რომ 1981 წლის 23 თებერვალს მოწვეულია ჩვენი პარტიის მორიგი, XXVI ყრილობა. რესპუბლიკის მშრომელები გულწრფელად გაგოთქვამენ თავიანთ მისწრაფებას: მაქსიმალურად გამოიყენონ ყრილობამდე დარჩენილი დრო, სასახელო შრომითი საჩუქრები მიუძღვნან დიდ პარტიულ ფორუმს.

ჩვენი ძლიერების წყარო

— ყოველნაირად შევუწყოთ ხელი ახლანდელი გეგმების შესრულებას და სოფლის მეურნეობის შემდგომ დაჩქარებულ განვითარებას — აი მთავარი ამოცანა, რომელიც დღეს ჩვენი კოლექტივის წინაშე დგას, — თქვა მახარაძის რაიონის სოფელ მელიქედურის კოლმეურნეობაში გამართულ მიტინგზე, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მუშაობის შედეგებს მიეძღვნა, — მეჩაიეთა რგოლის ხელმძღვანელმა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. ღლონტმა — ამ ამოცანას საფუძვლად უდევს პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა, რომელმაც მხურვალე გამოხმაურება პოვა ჩვენს გულში და ახალი ძალები შეგვმატა. თითოეულმა ჩვენგანმა გადაწყვიტა ღირსეული წვლილი შეიტანოს სოციალისტური სამშობლოს აყვავების საქმეში.

— წელს ჩვენმა მეურნეობამ ჩაის უხვი მოსავალი უნდა მიიღოს — თქვა მიტინგზე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ტუღუშმა, — სულ ცოტა 2670 ტონა — ორმეცი ტონით მეტი, ვიდრე შარშან. ეს იოლი არ არის ამინდის რთულ პირობებში, მაგრამ გადაეწყვიტეთ სოციალისტური შეჯიბრება გავშალოთ სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ეს ყველა მშრომელს ავალებს გაორეცეგბული ენერგიით იშრომოს. მოწინავე მეჩაიეებმა უკვე შეასრულეს ჩაის კრეფის მაისივისის ნორმები. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ რგოლი, რომელსაც მ. სამხარაძე ხელმძღვანელობს. მან 48 ტონის ნაცვლად მიმღებ პუნქტს ჩააბარა 51 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე მეჩაიეთა ბრიგადის მერგოლური, ლენინის ორდენოსანი ლ. შარაძე, მერგოლური მ. სამხარაძე და სხვები, რომლებმაც ამხანაგებს მოუნოდეს დამკვრელური, თავდადებული შრომით უპასუხონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობას. (საქინფორმი).

მეშვიდოგა სწორუპოვარი საუნჯეა

კარგა ხანია ჩვენი პარტია, ხალხი დიდი ენთუზიაზმით ემზადებიან სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად. და აი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მიღებულია დადგენილება, რომ პარტიის მორიგი XXVI ფორუმი გაიმართება გაისად, 1981 წლის 23 თებერვალს. ამრიგად, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შეჯიბრებას ახალი კონკრეტული მიმართულება მიეცა, რადგან უკვე ცნობილია ვადა როცა უთუოდ უნდა შესრულდეს საყრილობოდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

ჩვენი პარტიისა და მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკა, ნიადაგ დიდი ზრუნვა ქვეყნის ძლიერებისა და მშრომელთა კეთილდღეობისათვის, სიხარულით აღავსებს ხალხის გულს და თითოეული ჩვენგანი გრძნობს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც მას აკისრია ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან გამართულ პლენუმზე ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული ის, რომ კეთილად განუხრელად უნდა ავამაღლოთ როგორც წარმოების ეფექტიანობა, ისე მუშაობის ხარისხი, უნდა განვამტკიცოთ შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა, უზრუნველყოთ შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა.

მჯერა, რომ ამ ამოცანას ჩვენი ხალხი წარმატებით გადაწყვეტს, რადგან ჩვენ ხელი გვაქვს სწორუპოვარი საუნჯე — მშვიდობა და ხალხთა თანამშრომლობა, რომლის დროშა ჯერ კიდევ დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა აღმართა და რომელსაც ჩვენი პარტია დღესაც ასე ძლევამოსილად ატარებს.

ი. მონიავა,
1918 წლიდან სკკპ წევრი.

უფრო დიდ გეგმებს შეესაბამებით

მშობლიური მთების იალაღებს შეეფინა ჩვენი ცხვრის ფარები. ლაღობს პირუტყვი, მადიანად ძოვს ნოყიერ ბალახს და ჩვენც გული საგულეს გვაქვს, ვინაიდან მეტ ხორცს, მატყლსა და რძეს მოგელით კარგად ნამრავი ფარისაგან. პირადად მე წლეულს 100 ნერგზე 96 ბატკანი გამოვზარდე.

ასეთია ჩვენი მიღწევები. ახლა, ხუთწლედის მიჯნასაც მივაღწიე. როცა შევიტყვეთ სასიხარულო ამბავი, რომ გაისად, თებერვალში მოწვეულია ჩვენი პარტიის XXVI ყრილობა, რომელიც ქვეყნის მშრომელთა ხუთი წლის დიდი გარჯის ნაყოფს შეაფასებს. ჩვენი ვალია ახალი, ღირსეული შრომითი საჩუქრები მოვუმზადოთ კომუნისტთა დიდ ფორუმს.

ზ. რუსიტაშვილი,
ლენინგორის რაიონის ლარგვეის კოლმეურნეობის მეცხვარე, ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების ძირითად უფლებამოსილებათა შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

„სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების ძირითად უფლებამოსილებათა შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დაეკალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუსაბამოს სსრ კავშირის კანონმდებლობა სსრ კავშირის კანონს „სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების ძირითად უფლებამოსილებათა შესახებ“.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეუსაბამოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი აღნიშნულ კანონს.

3. დაეკალოთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს შეუსაბამონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა სსრ კავშირის კანონს „სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების ძირითად უფლებამოსილებათა შესახებ“.

4. დაწესდეს, რომ მოსკოვის საქალაქო და ლენინგრადის საქალაქო სახალხო დეპუტატთა საბჭოებს ენიჭებათ სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოს შესაბამისი უფლებამოსილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წ. 25 ივნისი.

„სალუტ-6“: 1000 დღე ორბიტაზე

ფრუნზის მართვის ცენტრი, 24 ივნისი. (საკადესი). ათასი დღეა დედამიწისირგვლივ ორბიტაზე მუშაობს „სალუტ-6“ სამეცნიერო სადგური. და ამ დროის თითქმის ნახევარი პილოტირებული რეჟიმით გაატარა. სადგურში კვლევისა და ექსპერიმენტების ეროცელი პროგრამის განხორციელების დროს მიღებულ ინფორმაციას ყოველმხრივ იყენებს მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგი.

ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი 76-ე დღე-ღამეა ორბიტაზე დაფრინავენ. დღეს პროგრამაშია ვიზუალური დაკვირვება დედამიწის ზედაპირსა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიაზე, ტექნიკური ექსპერიმენტები, ფიზიკური ვარჯიში.

გუშინ მოეწყო ეკიპაჟის კომპლექსური სამედიცინო შემოწმება. „პოლინომ-2 მ“ მრავალი ფუნქციური სარეგისტრაციო აპარატურის საშუალებით გამოიკვლიეს გულის ბიოელექტრონული აქტიურობა, გარეგანი სუნთქვის პარამეტრები, აგრეთვე სისხლძარღვთა ტონუსი, შემოწმების მონაცემების თანახმად, ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი თავს ჯანმრთელად გრძნობენ.

„სალუტ-6“-„სოიუზ-36“ — ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

• •

გვილოცავს იუნესკოს გენერალური დირექტორი

თავის მწერვალს მიაღწია საქართველოს სსრ მთავრობის მიერ გამოცხადებულმა გარემოს დაცვის ერთთვიურმა. მან ბუნების დაცვის საქმეში ჩააბა ათასობით ახალი მეგობარი. საქართველო და სასოფლო ლუბებში, სტუდენტურ აუდიტორიებში ,,ითხოლობენ ლექციებს თანამედროვე ეკოლოგიის კომპლექსურ პრობლემებზე. ,,ათვალერებ დაეთმო თვალსაჩინო ქართველ მეცნიერებს ქვეყნის უდიდესი სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებს. ამ პრობაგანდისტული კამპანიის მიზანია მოსახლეობის უმრავლესობა საქართველოს უნიკალური ბუნების პასიერი მჭვრეტელიდან მის აქტიურ დამცველად აქციოს.

ბუნების მეგობრები მარტო გამწვანების როდი ეწევიან. ისინი კონტროლს უწევენ ყოველ საწარმოს, რომელიც აბუჭყიანებს გარემოს, წყალსატევებს. მწვანე ნარგავების დაზიანების, საპაერო აუზის სიწმინდის ყოველი ხელყოფის შესახებ ატყობინებენ კომპეტენტურ ორგანოებს.

საქართველოს ბუნების მეგობართა ამ მრავალმხრივ საქმიანობის ამბავმა პარიზში იუნესკოს შტაბ-ბინამდე მიაღწია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული ამ საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი ამადუ მახთარ მბრუ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზ. ა. პატარიძისადმი გამოგზავნილ წერილში ამბობს: „გარემოს დაცვის ერთთვიურის ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აწყობს და რომლებიც შეესაბამება გარემოს დაცვის დარგში განათლებისადმი მიძღვნილი თბილისის სამთავრობათაშორისო კონფერენციის რეკომენდაციის სულისკვეთებას, ეიულოკავ და ყოველგვარ წარმატებას ვუსურვებ ამ მნიშვნელოვანი თაოსნობის ორგანიზატორებს.

იუნესკო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს ბუნების დაცვის დარგში განათლების როლის ამაღლებისათვის ზრუნვას და ამ მიმართულებით საქმიანობის გაძლიერებას იუნესკოს წევრ სახელმწიფოებში, რაც თბილისის კონფერენციის შედეგია. კონფერენციამ იუნესკოს წევრ სახელმწიფოს მოიწოდა მჭიდროდ ითანამშრომლონ ეკოლოგიური ცოდნის ფართო პოპულარიზაციის საქმეში.

ამის დამადასტურებელია საბჭოთა კავშირის მეცადინეობა გარემოს დაცვის დარგში განათლების განვითარებისათვის, რაც საგანგებო შეესაბამება იუნესკოს მოღვაწეობას ამ საქმეში.

იუნესკო მაღალ შეფასებას აძლევს ამ ინიციატივას და ინტერესით მოელის აღნიშნული თაოსნობის შედეგებს, რომლებიც უდავოდ გაამდიდრებს ბუნების დაცვის დარგში განათლების წვლილს“.

ამას ისღა უნდა დავუმატოთ, რომ რესპუბლიკის მთავრობამ მეათე ხუთწლედში ბუნების დაცვის ღონისძიებებისათვის გამოყო დაახლოებით ორასი მილიონი მანეთი. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე რესპუბლიკაში დარგულია თითქმის თორმეტი მილიონი ხე და ბუჩქი. ახალი ტყეები აშენდა დიდ ფართობებზე.

თათბიროგენ მუშსოფლკორები



ჟუთაისი, 25 ივნისი. (საქინფორმის კორ.). მუშა და სოფლის კორესპონდენტების რესპუბლიკური შეკრება, რომელიც დღეს გაიხსნა საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრში, დაემთხვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმისა და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მუშაობის დამთავრებას. შეკრებაზე ჩამოსული მუშა და სოფლის კორესპონდენტები — პრესის აქტივისტთა მრავალათასიანი არმიის წარმომადგენლები, დიდი ინტერესით ეცნობოდნენ პლენუმის მასალებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას. ისინი ერთსულოვნად უჭერენ მხარს და მხურვალე იწონებენ კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავიანთი წვლილი შეიტანონ მეათე ხუთწლედის დამთავრებული წლისა და მთლიანად ხუთწლედის გრანდიოზული გეგმის შესრულებაში.

შეკრების დაწყებამდე მისმა მონაწილეებმა ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის, ტექნიკური და შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი.

შეკრება გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, „ზეზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა გ. ვ. ბედინეიშვილმა.

შეკრებილებმა ტაშის გრიალში სპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალურმ კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. ი. ჭარუმიძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება შეკრების მონაწილეებისადმი.

მოხსენება გააკეთა გ. ვ. ბედინეიშვილმა.

შეკრებაზე გამოსულებმა ილაპარაკეს, თუ რა სპატიო მოვალეობა აკისრიათ პრესის აქტივისტებს — მკაფიოდ და ღრმად გააშუქონ საყოველთაო სახალხო ბრძოლა სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და ვალდებულებათა ვადამდე შესრულების, დისციპლინის საყოველთაო განმტკიცების, მშრომელთა ინიციატივის ფართო განვითარების, ცხოვრების ყველა სფეროში ხარვეზების აღმოფხვრისათვის.

შეკრების მონაწილეებმა საქართველოს ყველა მუშა და სოფლის კორესპონდენტისადმი მიიღეს მიმართვა, რომელიც მოუწოდებს მათ იყვნენ პარტიის პოლიტიკის აქტიური გამტარებლები, საბჭოთა ცხოვრების წესის პროპაგანდისტები, ყოველი ღონე იხმარონ, რათა ღირსეულად შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას.

შეკრების შედეგები შეაჯამა ვ. ი. ჭარუმიძემ.

შეკრებაზე აქტიურ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ჯგუფს გადაეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „საპატიო სიგელები, ჟურნალ „რაბოსელკორის“ სიგელები და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელები.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კ ა ნ ო ნ ი

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების ძირითად უფლებამოსილებათა შესახებ

თავი I.

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭო, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის სახალხო დეპუტატთა საბჭო — სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭო, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის სახალხო დეპუტატთა საბჭო სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოა მხარეში, ოლქში, ავტონომიურ ოლქში, ავტონომიურ ოკრუგში.

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭო წყვეტს ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ინტერესებიდან გამომდინარე, ახორციელებს ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს, ხელმძღვანელობს სახალხო დეპუტატთა ქვემდგომი საბჭოების საქმიანობას, მონაწილეობს რესპუბლიკური და საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხთა განხილვაში, ხოლო ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის სახალხო დეპუტატთა საბჭო — აგრეთვე სამხარეო, საოლქო მნიშვნელობის საკითხთა განხილვაში, შეაქვს მათს გამო თავისი წინადადებები.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოების შესახებ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოების შესახებ შედგება ამ კანონისა და მის შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტების, სამხარეო, საოლქო საბჭოების შესახებ კანონების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების შესახებ კანონებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან.

მუხლი 3. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს არჩევის წესი

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს არჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფაფული ხმის მიცემით. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს უფლებამოსილების ვადაა ორ წელიწად-ნახევარი.

სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს არჩევნების ჩოწყობის წესი განისაზღვრება სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკის კანონებით.

მუხლი 4. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოების საქმიანობის ძირითადი პრინციპები

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს საქმიანობას საფუძვლად უდევს საკითხთა კოლეგიური, თავისუფალი, საქმიანი განხილვა და გადაწყვეტა, საჯაროობა, აღმასრულებელი კომიტეტის, საბჭოს მიერ შექმნილი სხვა ორგანოების რეგულაციური ანგარიშგება საბჭოსა და მოსახლეობის წინაშე, მოქალაქეთა ფართო ჩაბმა მათს მუშაობაში მონაწილეობისათვის.

სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს ზუსტად სოციალისტური კანონიერების, ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების მოთხოვნების შესაბამისად, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და შრომითის კოლექტივებთან მჭიდრო კავშირით, გამოაქვს უმნიშვნელოვანესი საკითხები მოქალაქეთა განსახილველად, წარმართავს ადგილობრივ ნებაყოფლობითს საზოგადოებათა საქმიანობას, ხელს უწყობს მათს მუშაობას, ავითარებს მოსახლეობის საზოგადოებრივ თვითმოქმედებას.

სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭო და მის მიერ შექმნილი ორგანოები სისტემატურად აწვდიან მოსახლეობას ინფორმაციას თავიანთი მუშაობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

მუხლი 5. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს მიერ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის განხორციელება

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭო თავის ტერიტორიაზე ხელმძღვანელობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას; ამტკიცებს მხარის, ოლქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებსა და ბიუჯეტს; ხელმძღვანელობს მისადამი დაქვემდებარებულ სახელმწიფო ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს; უზრუნველყოფს კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციებისა და მათი გაერთიანებებისადმი სახელმწიფო ხელმძღვანელობას; ხელს უწყობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას; უზრუნველყოფს კანონების, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დაცვას.

სამხარეო, საოლქო, საოკრუგო დაქვემდებარებაშია საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც უპირატესად მხარის, ოლქის, ოკრუგის მოსახლეობას ემსახურებიან. აღნიშნული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 6. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს მიერ თავის ტერიტორიაზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფა. ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობა

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას თავის ტერიტორიაზე; ახორციელებს კონტროლს ამ ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ კანონმდებლობის დაცვისადმი; კოორდინაციას და კონტროლს უწევს მათს საქმიანობას მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი მომსახურების დარგში. აღნიშნულ საკითხებზე სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭო ისმენს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, იღებს მათს გამო გადაწყვეტილებებს, საჭიროების შემთხვევებში შეაქვს თავისი წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში. საბჭოს წინადადებები აუცილებლად უნდა იქნეს განხილული. განხილვის შედეგები უნდა ეცნობოს საბჭოს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, რომ საქვეუწყებო საწარმოებმა, გაერთიანებებმა და ორგანიზაციებმა მათი ადგილსამყოფლის მიხედვით წარუდგინონ საკონტროლო ციფრები, გეგმების პროექტებისა და დამტკიცებული გეგმების ძირითადი მაჩვენებლები, თავდაცვითი პროდუქციის წარმოების გეგმების გარდა, — სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოებს, ითვალისწინებენ ამ საბჭოების დასკვნებს გეგმების, აგრეთვე მათს ტერიტორიაზე სახალხო მეურნეობის დარგებისა და მრეწველობის დარგების განლაგების და განვითარების სქემების შემუშავებისა და დამტკიცების დროს.

მხარეების, ოლქების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების ბიუჯეტებში გადაეცემა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოების ტერიტორიაზე მდებარე რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგების ნაწილი. აღნიშნული ანარიცხების ოდენობას და ბიუჯეტებში მათი გადარიცხვის წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მხარეების, ოლქების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების ბიუჯეტების შემოსავლის ფორმირებაში მონაწილეობენ აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები. ამ მონაწილეობის ფორმებსა და მეთოდებს ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 7. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს მიერ ქვემდგომი საბჭოების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის განხორციელება

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭო, ახორციელებს რა სახალხო დეპუტატთა ქვემდგომი საბჭოების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობას, წარმართავს მათს მუშაობას კანონების, ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების სხვა გადაწყვეტილებების, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, კომპლექსური საერთო-სახელმწიფოებრივი, რესპუბლიკური, დარგთაშორისი და რეგიონალური პროგრამების განსახორციელებლად, სწავლობს, განაზოგადებს და ავრცელებს საბჭოების მუშაობის გამოცდილებას, უზრუნველყოფს მათი საქმიანობის, საბჭოთა ორგანოების მუშაკთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას.

სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭო ისმენს მოხსენებებსა და ინფორმაციას ქვემდგომი საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობის შესახებ, უფლება აქვს გააუქმოს ქვემდგომი საბჭოების აქტები, თუ ეს აქტები არ შეესაბამება კანონმდებლობას.

მუხლი 8. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს დეპუტატთა მონაწილეობა საბჭოს მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებას საფუძვლად უდევს, მის მუშაობაში საბჭოს ყოველი დეპუტატის აქტიური მონაწილეობა. დეპუტატი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას არ წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას.

სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს დეპუტატი საბჭოს სესიის, აღმასრულებელი კომიტეტის და მუდმივი კომისიის სხდომის პერიოდში, რომლებშიც იგი არჩეულია, აგრეთვე საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის დავალებათა შესრულებისას თავისუფლდება სარეგულო თუ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისაგან და ენახება საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს დეპუტატს უზრუნველყოფილი აქვს დეპუტატის საქმიანობის სხვა გარანტიები, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

თავი II.

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების კომპეტენცია

მუხლი 9. უფლებამოსილება დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭო:

1) ამტკიცებს მხარის, ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმებს, ორგანიზაციას და კონტროლს უწევს ამ გეგმების რეალიზაციას, ამტკიცებს მათი შესრულების ანგარიშებს; ითვალისწინებს მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შემუშავებისას ამომრჩეველთა განაწესებს, შრომითი კოლექტივების წინადადებებს; იღებს ზომებს, რათა გაუმჯობესოს საგეგმო მუშაობა, რაციონალურად შეუხამოს ერთმანეთს ტერიტორიული და დარგობრივი განვითარება, უზრუნველყოს მხარის, ოლქის, შეწონასწორებული ზრდა; იღვწის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის;

2) ამუშავებს მხარის, ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემადგენლობაში კრებითის კარებს სოციალური განვითარების დარგში ღონისძიებათა მთელი კომპლექსის მიხედვით, ითვალისწინებს ამ გეგმებში მუშაკთა შრომის პირობების გაუმჯობესების, კვალიფიკაციისა და პროფესიული ოსტატობის, მოსახლეობის ზოგადი განათლების და კულტურული დონის ამაღლების, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებებსა და სოციალური განვითარებისა და კულტურის დარგის სხვა ღონისძიებებს წარმოების, კაპიტალური მშენებლობის განვითარებისა და მათი ეფექტიანობის ამაღლების დავალებებთან შეთანხმებით;

3) განიხილავს მხარის, ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ ამ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა გეგმების იმ ნაწილს, რომელიც საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება, საჭიროების შემთხვევებში შეაქვს თავისი წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში და მონაწილეობს წინადადებათა განხილვაში; ადგენს და ამტკიცებს ადგილობრივი სამშენო მასალების წარმოების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების, საბინაო-კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, კრებითის მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმებს, აგრეთვე კონტროლს უწევს აღნიშნული გეგმების შესრულებას. ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მიხედვით მაჩვენებლების კრებსითს გეგმებში შეტანისას ხელმძღვანელობს საგეგმო დავალებებით, რომლებიც მათ დაუმტკიცეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისმა სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა;

4) ამტკიცებს სამხარეო, საოლქო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმებს, წყვეტს აღნიშნული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების განლაგების, განვითარებისა და სპეციალიზაციის საკითხებს, იღებს ზომებს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის;

5) მონაწილეობს რეგიონალური და სხვა იმ პროგრამების შემუშავებაში, რომლებიც ითვალისწინებენ საბჭოს ტერიტორიაზე მდებარე ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსებისა და სამრეწველო კვანძების ფორმირებას და განვითარებას;

6) შეაქვს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში წინადადებანი მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შესახებ (ამ წინადადებების განხილვის შედეგები უნდა ეცნობოს სამხარეო, საოლქო საბჭოს არაუგვიანეს ერთი თვის ვადისა); იძლევა დასკვნებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების წინადადებებზე დაქვემდებარებულ საწარმოებში ძირითადი პროდუქციის დადგენილი ნომენკლატურის დამატებით სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ორგანიზაციის შესახებ;

7) ამუშავებს შრომითი რესურსების, ადგილობრივი სამშენო მასალებისა და სათბობის ბალანსებს, მიწის ბალანსს, მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის ბალანსს და სხვა ბალანსებს, რომლებიც საჭიროა მხარის, ოლქის ტერიტორიაზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვისათვის;

8) კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით ახორციელებს სამხარეო, საოლქო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ორგანიზაციას, რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას, საჭიროების შემთხვევებში შეაქვს წინადადებები ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების ორგანიზაციის, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

9) ხელმძღვანელობს სამხარეო, საოლქო დაქვემდებარების მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებს; ორგანიზაციას უწევს სამხარეო, საოლქო დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს გადაზიდვების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, აგრეთვე მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას;

10) ხელმძღვანელობს აღრიცხვის, ანგარიშგებისა და სტატისტიკის საქმეს სამხარეო, საოლქო დაქვემდებარების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

მუხლი 10. უფლებამოსილება სბიუჯეტო-საფინანსო მუშაობისა და ფასების დარგში

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭო:

1) ამტკიცებს მხარის, ოლქის ბიუჯეტს და ორგანიზაციას უწევს მის შესრულებას: ითვალისწინებს ბიუჯეტის შედგენისას ამომრჩეველთა განაწესებს; საჭიროების შემთხვევაში ხელახლა ანაწილებს ბიუჯეტის შესრულების პროცესში სამხარეო, საოლქო ბიუჯეტის სახსრებს მეურნეობის დარგებს, აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებს შორის, აგრეთვე ხელფასის ასიგნებებს დამტკიცებული ხელფასის ფონდის ფარგლებში; ამტკიცებს ანგარიშს მხარის, ოლქის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

2) ახმარს სამხარეო, საოლქო ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებულ შემოსავალს, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადაჭარბების [illegible] ნაზებს, რომლებიც ზლის დამლევისათვის იქმნება. შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან ხარჯების ეკონომიის შედეგად, ადგილობრივი მეურნეობის დაფინანსებას და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს, მათ შორის კაპიტალურ დაბანდებებს დაწესებული საგეგმო ლიმიტების გადამეტებით, — ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების, სასამართლოების, სახელმწიფო არბიტრაჟისა და სანოტარო კანტორების შენობების კაპიტალურ რემონტს, მათთვის ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენას, აგრეთვე რაიონული საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის შენობების აგებას, სატრანსპორტო საშუალებათა შეძენასა და რემონტს (სამხარეო, საოლქო ბიუჯეტიდან აღნიშნული სახსრების ამოღება, იმ ასიგნებათა გარდა, რომლებიც არ გამოუყენებიათ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელის განვითარების გეგმის შეუსრულებლობის გამო, არ დაიშვება);

3) ახორციელებს ღონისძიებებს ქვემდგომი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მატერიალურ-საფინანსო ბაზის განმტკიცებისათვის; ქმნის კანონმდებლობის შესაბამისად სამხარეო, საოლქო ბიუჯეტში სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდს;

4) ხელმძღვანელობს მუშაობას სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადის და გამოსაღების გამოსაანგარიშებლად და გადასახდევინებლად; კანონმდებლობის შესაბამისად სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ კოლმეურნეობებს გადაუდებს საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვადას, საჭიროების შემთხვევაში მთლიანად ან ნაწილობრივ ათავისუფლებს ამ კოლმეურნეობებს გადასახადის გადახდისაგან შესაბამისი ბიუჯეტების ხარჯზე; ადგენს მხარისათვის, ოლქისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საშუალო განაკვეთების საფუძველზე გადასახადის განაკვეთებს ცალკეული რაიონებისა და დასახლებული პუნქტებისათვის; საჭიროებისამებრ შეუძლია შეამციროს განაკვეთები და დაუწესოს შეღავათები ადგილობრივ გადასახადსა და გამოსაღებზე როგორც ცალკეულ კატეგორიათა დასაბეგრ ობიექტებს და გადამხდელთა ჯგუფებს, ისე ცალკეულ გადამხდელებს, წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც მის გამგებლობას განეკუთვნება კანონმდებლობით გადასახადებისა და გამოსაღების შესახებ;

5) განიხილავს სსრ კავშირის სახბანკის სამხარეო, საოლქო კანტორის კვარტალურ საკასო გეგმებს ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგების, რაიონებისა და სამხარეო, საოლქო დაქვემდებარების ქალაქების მიხედვით, იღებს ზომებს მათი შესრულებისათვის; ამტკიცებს მხარის, ოლქის მიხედვით კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობის სამეურნეობათშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), საბინაო-საშენებლო კოოპერატივებისა და ინდივიდუალური მსესხებლების გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმებს; ახორციელებს კონტროლს კრედიტების სწორად გამოყენებისა და გრძელვადიანი სესხის დროული დაბრუნებისადმი; ხელახლა უნაწილებს გრძელვადიან კრედიტებს ავტონომიურ ოლქს, ავტონომიურ ოკრუგებს, სამხარეო, საოლქო დაქვემდებარების რაიონებსა და ქალაქებს შორის იმ საერთო თანხის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია გრძელვადიანი, დაკრედიტების გეგმით მსესხებელთა თითოეული ჯგუფისათვის; წარმართავს სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების, სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი ორგანოების მუშაობას;

6) ახორციელებს ღონისძიებებს მხარის, ოლქის ტერიტორიაზე ფასების ერთიანი პოლიტიკის გატარებისათვის; იღებს საჭირო ზომებს ფასებისა და ტარიფების დაცვისადმი სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის ეფექტიანობის ასამაღლებლად, აგრეთვე ფასების სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების თავიდან აცილებლად და აღმოსაფხვრელად; წყვეტს კანონმდებლობის შესაბამისად ფასებისა და ტარიფების დამტკიცების საკითხებს.

მუხლი 11. უფლებამოსილება მრეწველობის, მშენებლობის, ქალაქთმშენებლობისა და არქიტექტურის დარგში

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭო:

1) ხელმძღვანელობს სამხარეო, საოლქო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებსა და გაერთიანებებს, ამტკიცებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, მიღებული მოგების დადგენილი წესით განაწილებას; ანაწილებს აღნიშნული საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ ადგილობრივი ნედლეულისაგან წარმოებულ პროდუქციას, აგრეთვე საწარმოებისა და გაერთიანებების საკუთარი დამზადების ნედლეულიდან და ნარჩენებიდან წარმოებულ პროდუქციას; ქმნის კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ფონდს;

2) ხელმძღვანელობს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარებას, კოორდინაციას და კონტროლს უწევს მათს წარმოებას მხარის, ოლქის ტერიტორიაზე მდებარე ყველა საწარმოში, იღებს ზომებს საქონლის გამოშვების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის ამაღლებისათვის; აწყობს საშენ მასალათა წარმოებას ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე წარმოების იმ ნარჩენების გამოყენებით, რომლებიც არ ნაწილდება ცენტრალიზებული წესით; ხელს უწყობს ხალხური სამხატვრო სარეწებისა და ხელოსნობის განვითარებას;

3) ეხმარება მხარის, ოლქის ტერიტორიაზე მდებარე ზემდგომი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს საწარმოო სიმძლავრეების, მატერიალური, შრომითი და საფინანსო რესურსების რაციონალურ გამოყენებაში, მუშა-მოსამსახურეთა სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი მომსახურების გაუმჯობესებაში;

4) ხელმძღვანელობს ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურისა და კომპლექსური განაშენიანების საქმეს; ამტკიცებს ან ათანხმებს დადგენილი წესით რაიონული დაგეგმარების პროექტებსა და სქემებს, საგარეუბნო ზონების დაგეგმარების პროექტებს, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დეტალური დაგეგმარების ენერალურ გეგმებსა და პროექტებს, მხარის, ოლქის ტერიტორიაზე ახალი მშენებლობის განლაგებას, აგრეთვე სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა ობიექტების გაფართოებას და რეკონსტრუქციას;

5) კონტროლს უწევს მხარის, ოლქის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობას, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ვადებსა და ხარისხს, საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ყველა ობიექტში, სამხარეო, საოლქო დაქვემდებარების საწარმოო ობიექტებში პროექტების და ხარჯთაღრიცხვების დაცვას, ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოო ობიექტებში პროექტების დაცვას, აგრეთვე დაქვემდებარების მიუხედავად ობიექტების მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების გამოყენების სისწორეს; კრძალავს ან აჩერებს მშენებლობას, რომელიც კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით წარმოებს;

6) ხელმძღვანელობს სამხარეო, საოლქო დაქვემდებარების საპროექტო, სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებს; უზრუნველყოფს მათ მიერ საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებას; ამტკიცებს სამხარეო, საოლქო დაქვემდებარების მშენებლობებისა და ობიექტების პროექტებს და სატატულო სიებს კანონმდებლობით დაწესებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ფარგლებში;

7) ასრულებს სამხარეო, საოლქო დაქვემდებარების ობიექტების მშენებლობის შემკვეთის ფუნქციებს; აწყობს კოოპერაციულ მშენებლობას; ხელს უწყობს ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას; საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თანხმობით წყვეტს იმ სახსრების ერთობლივი გამოყენების საკითხებს, რომლებიც გამოყოფილია საბინაო, კომუნალური, საგზაო მშენებლობისათვის, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა მშენებლობისათვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მშენებლობისათვის, აგრეთვე წყვეტს საკითხებს ამ სახსრების გაერთიანების შესახებ, განსაზღვრავს შემკვეთის ამ სახეობათა მშენებლობაზე.

მუხლი 12. უფლებამოსილება სოფლის მეურნეობისა და დამზადების დარგში

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭო:

1) ხელმძღვანელობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, იღებს ზომებს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდისა და ხარისხის ამაღლებისათვის; უმტკიცებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის საგეგმო დავალებებს ავტონომიურ ოლქს, ავტონომიურ ოკრუგს, რაიონებს, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, სამხარეო, საოლქო დაქვემდებარების გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს, ორგანიზაციას უწევს მათ მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების დროულ შესრულებას; უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაცვა-შენახვას;

2) ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს მეცხოველეობის, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ეკონომიკური და საფინანსო მუშაობის სრულყოფას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, გაერთიანებებში, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ტრანსპორტის, საწვავის, სასუქების, შხამქიმიკატებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტიან გამოყენებას და შენახვას; წყვეტს ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაწილეობს იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც დაკავშირებულია კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო მიმართულების განსაზღვრასთან ან შეცვლასთან; ხელმძღვანელობს სამელიორაციო მშენებლობას, უზრუნველყოფს სამელიორაციო ნაგებობათა ეფექტიან ექსპლოატაციას; ხელმძღვანელობს სავეტერინარო სამსახურს;

3) ორგანიზაციას უწევს, კონტროლს კოლმეურნეობათა წესდების, კოლმეურნეობების საქმეთა გაძღოლის დემოკრატიული საფუძვლების დაცვისადმი, კოლმეურნეობებში პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების სწორი შეხამებისადმი; წყვეტს დადგენილი წესით საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სამეურნეობათშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), გაერთიანებების შექმნასთან სოფლის მეურნეობაში, მათს საქმიანობასთან, რეორგანიზაციასთან და ლიკვიდაციასთან;

4) ამუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დამზადარ მეურნეობებში, აგრეთვე კოლმეურნეთა, მუშა-მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა პირად დამზმარე მეურნეობებში, კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის შემდგომი განვითარება.

მუხლი 13. უფლებამოსილება ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭო:

1) ახორციელებს სახელმწიფო მართვასა და სახელმწიფო კონტროლს მხარის, ოლქის ტერიტორიაზე მთელი მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში; აძლევს და ართმევს მიწის ნაკვეთებს და წყვეტს საადგილმამულო დავას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით; იძლევა დასკვნებს მიწის, ნაკვეთების მიცემისა და ჩამორთმევის შესახებ, რაც ხდება ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით; აწყობს კონტროლს იმისადმი, რომ მიწათმოსარგებლეებმა განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის, დამლაშების, დაჭაობების, აგრეთვე სხვა იმ პროცესების თავიდან აცილებისათვის, რომლებიც აუარესებენ ნიადაგების მდგომარეობას;

2) ახორციელებს სახელმწიფო მართვას და სახელმწიფო კონტროლს მხარის, ოლქის ტერიტორიაზე წყლის, ტყეების, წიაღის, ატმოსფერული ჰაერისა და ცხოველთა სამყაროს გამოყენებისა და დაცვის დარგში; გადასცემს მთლიანად ან ნაწილობრივ განკარგულებული სარგებლობისათვის წყლის ობიექტებს; მონაწილეობს სატყეო მეურნეობის განვითარების, ტყის რესურსების გამოყენების დაგეგმვაში; კონტროლს უწევს იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია, წიაღით სარგებლობისას დარღვეული ნაკვეთების დაბრუნება უსაფრთხო მდგომარეობაში, აგრეთვე მიწების რეკულტივაცია;

3) უზრუნველყოფს გარემოს დაცვის,

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კ ა ნ ო ნ ი

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების ძირითად უფლებამოსილებათა შესახებ

(დასასრული)

2) კოორდინაციას და კონტროლს უწევს ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია ხმაურის თავიდან აცილება, მისი ინტენსიურობის შემცირება და აღკვეთა საწარმოო, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში, ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში;

3) ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს გარემოს გაჯანსაღების, წყალსატევების, ნიადაგისა და, ატმოსფერული ჰაერის სანიტარიული დაცვის წესების შესრულებისადმი;

4) ხელმძღვანელობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეს; უზრუნველყოფს სპორტული ნაგებობებისა და შენობების ქსელის, მშრომელთა მასობრივი დასვენების ზონების განვითარებას.

მუხლი 19. უფლებამოსილება შრომის, შრომითი რესურსების გამოყენებისა და კადრების მომზადების, სოციალური უზრუნველყოფის დარგში

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭო:

1) უზრუნველყოფს მხარის, ოლქის ტერიტორიაზე შრომითი რესურსების აღრიცხვას და არეგულირებს მათს განაწილებას, იღებს ზომებს მათი რაციონალური გამოყენებისათვის, აგრეთვე შრომითი მოწყობის სისტემის განვითარებისათვის; აწყობს კონტროლს შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის წესების დაცვისადმი საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა;

2) მონაწილეობს სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან ერთად საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მუშახელით უზრუნველყოფის გეგმების შემუშავებაში; ამტკიცებს მუშათა ორგანიზებული შეგროვების, გადასახლების ,საშუალო ზოგადსაგანმახათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის გეგმებს, ამასთან აცნობს დავალებებს საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს დაქვემდებარების მიუხედავად, ახორციელებს კონტროლს გეგმების შესრულებისადმი;

3) იღებს პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანოებთან ერთად ზომებს მხარის, ოლქის ტერიტორიაზე სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის;

4) ახორციელებს ხელმძღვანედობას მუშა-მოსამსახურეთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისადმი სამხარეო, საოლქო დაქვემდებარების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, კონტროლს უწევს ამ მუშაობას ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

5) ხელმძღვანელობს სოციალური უზრუნველყოფის საქმეს; სამხარეო, საოლქო დაქვემდებარების სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს; ახორციელებს კონტროლს მხარის, ოლქის ტერიტორიაზე მდებარე ზემდგომი დაქვემდებარების სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობისადმი;

6) ადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალურ პენსიებს, აღძრავს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შუამდგომლობს რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიების დადგენის შესახებ; ქმნის კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის სამხარეო, საოლქო საბჭოს და კონტროლს უწევს მის საქმიანობას; ორგანიზაციას უწევს მუშაობას ინვალიდთა და პენსიონერთა შრომითი მოწყობისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეთა, დაღუპულ მეომართა და პარტიზანთა ოჯახის წევრთა შრომითი მოწყობისათვის; ხელმძღვანელობს საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ორგანოების მუშაობას.

მუხლი 20. უფლებამოსილება სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დაცვის, სახალხო კონტროლის განხორციელების დარგში.

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭო:

1) უზრუნველყოფს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის კანონების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომი ორგანოების სხვა აქტების დაცვას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეთა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას; იღებს ზომებს სამართლებრივი მუშაობის სრულყოფისათვის, ახორციელებს ხელმძღვანელობას ამ მუშაობისადმი სამხარეო, საოლქო დაქვემდებარების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ორგანიზაციას უწევს მოსახლეობისათვის კანონმდებლობის განმარტებასა და იურიდიული დახმარების გაწევას.

2) აუქმებს საჭიროების შემთხვევაში სამხარეო, საოლქო საბჭოებისადმი დაქვემდებარებული მართვის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა აქტებს; აჩერებს კანონმდებლობისადმი საწინააღმდეგო ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა აქტების შესრულებას, რომლებიც ეხება მიწათსარგებლობის, წყალსარგებლობის, გარემოს დაცვის, მშენებლობის, სანიაღვრე და კომუნალური მეურნეობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყაჩრო, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი მომსახურების საკითხებს და აცნობებს ამას შესაბამის ზემდგომ ორგანოებს;

3) უზრუნველყოფს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულ და სწორ განხილვა-გადაწყვეტას, ამოწმებს ამ მუშაობის მდგომარეობას სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებში, ქვემდგომ სახალხო დეპუტატთა საბჭოებში, მხარის, ოლქის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ისმენს ამ საკითხებზე მათი ხელმძღვანელების ანგარიშებს;

4) იღებს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით გადაწყვეტილებებს, რომლებიც მათი დარღვევისათვის ითვალისწინებენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას დადგენილ ფარგლებში;

5) ქმნის სახალხო კონტროლის სამხარეო, საოლქო კომიტეტს და ცვლის მის შემადგენლობას; ხელმძღვანელობს სამხარეო, საოლქო სახალხო კონტროლის კომიტეტის საქმიანობას, ისმენს ანგარიშებს მისი მუშაობის შესახებ; აუქმებს სამხარეო, საოლქო, სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ შეესაბამება კანონმდებლობას;

6) ირჩევს სამხარეო, საოლქო სასამართლოს და ცვლის მის შემადგენლობას; ისმენს ანგარიშებს სამხარეო, საოლქო სასამართლოს მუშაობის შესახებ; ხელმძღვანელობს სახელმწიფო არბიტრაჟსა და ნოტარიატს; ახორციელებს ადვოკატურისადმი საერთო ხელმძღვანელობას; ხელს უწყობს პროკურატურის ორგანოებს მათს მუშაობაში;

7) ხელმძღვანელობს დაქვემდებარებულ შინაგან საქმეთა ორგანოებს;

8) ორგანიზაციას უწევს სტიქიურ უბედურებათა თავიდან აცილებასთან და მათი შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელებას. ამამს საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ ღონისძიებათა შესრულებისათვის მონაწილეობაში საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე მოსახლეობას.

მუხლი 21. უფლებამოსილება თავდაცვითი მუშაობის დარგში სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭო:

1) უზრუნველყოფს საყოველთაო სამხედრო მოვალეობის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესრულებას ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქის მიერ, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ; ხელმძღვანელობს სამოქალაქო თავდაცვის მხარის, ოლქის ტერიტორიაზე;

2) კონტროლს უწევს დიდი სამამულო ომის მონაწილეებისათვის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან თავდარიგში დათხოვნილი და დემობილიზებული მოქალაქეებისათვის დაწესებული შეღავათებისა და უპირატესობების შესახებ, აგრეთვე ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეულ მოქალაქეთა, დაღუპულ მეომართა და პარტიზანთა ოჯახებისათვის შეღავათებისა და დახმარებების შესახებ კანონმდებლობის დაცვას;

3) ახორციელებს ღონისძიებებს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისათვის რეზერვების მომზადების უზრუნველსაყოფად და სხვა თავდაცვითი ამოცანების შესასრულებლად; ორგანიზაციას უწევს მუშაობას მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის.

მუხლი 22. უფლებამოსილება არჩევნების ორგანიზაციის დარგში

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭო უზრუნველყოფს მხარის, ოლქის ტერიტორიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დეპუტატთა აგილობრივი საბჭოების, აგრეთვე რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების მომზადებისა და ჩატარების საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას.

მუხლი 23. უფლებამოსილება სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების დარგში

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭო განიხილავს შუამდგომლობებს და შეაქებს წარდგენებანი სსრ კავშირის ორდენებით, მედლებით დაჯილდოების, სსრ კავშირის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ.

სამხარეო, საოლქო საბჭო აწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით და მისი სახელით სსრ კავშირის მედლებით დაჯილდოებას.

მუხლი 24. სამხარეო, საოლქო საბჭოს სხვა უფლებამოსილებანი

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭო ამ კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა გარდა ახორციელებს აგრეთვე სხვა უფლებამოსილებებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი III.

ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების კომპეტენციის განსაზღვრა

მუხლი 25. ავტონომიური ოლქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებამოსილებათა განსაზღვრა

ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს უფლებამოსილებას განსაზღვრავს კანონი ავტონომიური ოლქის შესახებ და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისი აქტები. კანონს ავტონომიური ოლქის შესახებ იღებს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წარდგენებით.

ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო ამტკიცებს ავტონომიური ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმებს და ბიუჯეტს, ხელმძღვანელობს მისდამი დაქვემდებარებულ სახელმწიფო ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას, თუ იგი არ არის მიკუთვნებული კანონმდებლობით უშუალოდ სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოს გამგებლობას.

თავი IV.

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის ორგანიზაცია

მუხლი 27. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს სესია

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს სესიებს იწვევს სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს სესია შეიძლება მოწვეულ იქნეს აგრეთვე სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს დეპუტატთა სულ ცოტა მესამედის წინადადებით.

მუხლი 28. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს სესიებზე გადასაწყვეტი საკითხები

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭო უფლებამოსილია განიხილავდეს და წყვეტდეს სესიებზე ყოველგვარ საკითხს, რომელიც მის გამგებლობას არის მიკუთვნებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით.

მხოლოდ და მხოლოდ სესიებზე წყდება შემდეგი საკითხები:

1) დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობა; დეპუტატთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხთა გადაწყვეტა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

2) სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა და მისი შემადგენლობის შეცვლა; სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნა, არჩევა და მათი შემადგენლობის შეცვლა;

3) აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების მუშაობის ანგარიშების განხილვა;

4) დეპუტატთა ინფორმაციის მოსმენა მათ მიერ დეპუტატის მოვალეობის, სამხარეო და მისი ორგანოების გადაწყვეტილებებისა და დავალებების შესრულების შესახებ;

5)აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნა, მათი ხელმძღვანელების დამტკიცება და განთავისუფლება თანამდებობიდან;

6) სახალხო კონტროლის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო კომიტეტის შექმნა და მისი შემადგენლობის შეცვლა; სამხარეო, საოლქო, საოკრუგო სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა; სახალხო კონტროლის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო კომიტეტის დადგენილებათა გაუქმება იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ შეესაბამება კანონმდებლობას;

7) აღმასრულებელ კომიტეტთან კანონმდებლობით გათვალისწინებული კომისიების შექმნა;

8) სამხარეო, საოლქო სასამართლოს, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის სასამართლოს არჩევა და მისი შემადგენლობის შეცვლა; სამხარეო, საოლქო სასამართლოს, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის სასამართლოს მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა;

9) მხარის, ოლქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების, აგრეთვე ბიუჯეტის დამტკიცება.

10) მხარის, ოლქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შესრულებისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების დამტკიცება;

11) ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებელ ღონისძიებათა გეგმის განხილვა და დამტკიცება;

12) დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხების განხილვა და მათ გამო გადაწყვეტილებათა მიღება;

13) სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა გაუქმება; ქვემდგომი საბჭოების გადაწყვეტილებათა გაუქმება იმ შემთხვევაში, როცა ეს გადაწყვეტილებანი არ შეესაბამება კანონმდებლობას.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იყოს აგრეთვე სხვა საკითხები, რომლებიც წყდება მხოლოდ და მხოლოდ სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოების სესიებზე.

მუხლი 29. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს გადაწყვეტილებანი

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს მისთვის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფს მათს შესრულებას; უწევს კონტროლს გადაწყვეტილებათა განხორციელებას. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს გადაწყვეტილებანი აუცილებლად უნდა შეასრულოს საბჭოს ტერიტორიაზე მდებარე ყველა საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ, აგრეთვე თანამდებობის პირმა და მოქალაქემ.

სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიერ მათი გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შეაქვთ ზემდგომ ორგანოებში წარდგინებანი, რომ ამ ხელმძღვანელებს დაედოთ დისციპლინური სასჯელი, თვით დაკავებული თანამდებობიდან მათს განთავისუფლებამდე. წარდგინებათა განხილვის შედეგები უნდა ეცნობოს სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს ან მის აღმასრულებელ კომიტეტს არაუგვიანეს ერთი თვის ვადისა.

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოს, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილება, უკეთუ იგი არ შეესაბამება კანონს, შეიძლება გაუქმოს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა.

ავტონომიური ოკრუგის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილება უკეთუ იგი არ შეესაბამება კანონმდებლობას, შეიძლება გაუქმოს სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭომ.

მუხლი 30. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი — საბჭოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც იგი ირჩევს დეპუტატთა რიცხვიდან.

აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ ანგარიშვალდებულია, როგორც მისი არჩევი საბჭოს, ისე ზემდგომი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს წინაშე.

აღმასრულებელი კომიტეტი სულ ცოტა წელიწადში ერთხელ ანგარიშს აბარებს სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს, აგრეთვე შრომითი კოლექტივებისა და საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა კრებებს.

მუხლი 31. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ძირითადი უფლებამოსილება

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ხელმძღვანელობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას შესაბამისი საბჭოს ტერიტორიაზე მისი არჩევი საბჭოსა და სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს გადაწყვიტოს საბჭოს გამგებლობას მიკუთვნებული ყველა საკითხი იმათ გარდა, რომლებიც მხოლოდ საბჭოს სესიებზე უნდა წყდებოდეს.

აღმასრულებელი კომიტეტი იწვევს საბჭოს სესიებს და უზრუნველყოფს მათს მომზადებას; კოორდინაციას უწევს საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობას; ხელს უწყობს დეპუტატებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში; შეიმუშავებს და შეაქვს სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოში მხარის, ოლქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმები, აგრეთვე ბიუჯეტი; იღებს ზომებს გეგმებისა და ბიუჯეტის განხორციელებისათვის, წარუდგენს სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს; ორგანიზაციას უწევს საბჭოსა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების, ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას და ინფორმაციას აწვდის დეპუტატებსა და მოსახლეობას მათი რეალიზაციის შესახებ.

მუხლი 32. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ განყოფილებებისა და სამმართველოებისადმი ხელმძღვანელობის განხორციელება. ურთიერთობა საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან.

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ხელმძღვანელობს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებს, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს; საბჭოს სესიების შორის პერიოდში მორიგი სესიის მიერ დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით ნიშნავს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელთა მოვალეობის შესრულებლებს და ათავისუფლებს მათ (სახელმწიფო მმართველობის შესაბამის ზემდგომ ორგანოსთან შეთანხმებით); ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს (თანამდებობათა ნუსხის თანახმად, რომელსაც სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამტკიცებს სახელმწიფო მმართველობის ზემდგომ ორგანოსთან შეთანხმებით).

მხარის, ოლქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის ტერიტორიაზე მდებარე ზემდგომი დაქვემდებარების იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თანამდებობაზე დანიშვნა და განთავისუფლება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მოსახლეობის მომსახურებისათვის, წარმოებს მხოლოდ სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით. ასეთი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნუსხას ადგენს შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იმ ორგანოებთან შეთანხმებით, რომელთა გამგებლობაშიც არის ეს საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია თვითონ განიხილოს საკითხები, რომლებიც მისი განყოფილებებისა და სამმართველოების გამგებლობას განეკუთვნება.

მუხლი 33. სამხარეო, საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი

სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მართვის მიმდინარე საკითხთა ოპერატიული გადაწყვეტისათვის მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით, მხარეებსა და ოლქებში, სადაც მოსახლეობა მილიონ-ნახევარს სჭარბობს, შეიძლება შეიქმნას სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი იქმნება აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და მდივნის შემადგენლობით. პრეზიდიუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მოხსენდება სამხარეო, საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 34. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები და განკარგულებები

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს და გამოსცემს განკარგულებებს.

სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს გაუქმოს ქვემდგომი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოს, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების გაუქმების უფლება აქვთ ავტონომიური ოკრუგის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 35. სამხარეო, საოლქო საოკრუგო საბჭოს მუდმივი კომისიები

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭო დეპუტატთა რიცხვიდან ირჩევს მუდმივ კომისიებს, რათა მათ წინასწარ განიხილონ და მომზადონ საბჭოს გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, აგრეთვე ხელი შეუწყონ საბჭოსა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელებას, კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

მუდმივი კომისიები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან მათი არჩევი საბჭოს წინაშე.

საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილონ შესაბამისა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა. განხილვის შედეგები ან მიღებული ღონისძიებანი უნდა ეცნობოს კომისიებს არაუმეტეს ერთი თვის ვადისა ან კომისიების მიერ დადგენილ სხვა ვადაში.

მუხლი 36. სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებს ქმნის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭო და თავიანთ საქმიანობაში ისინი ექვემდებარებიან როგორც საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე სახელმწიფო მმართველობის შესაბამის ზემდგომ ორგანოს.

აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების ნუსხას და მათი შექმნის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები არიან ბიუჯეტზე ან სამეურნეო ანგარიშზე.

დებულებებს სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების შესახებ ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1980 წ. 25 ივნისი.

აღმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ სსრ კავშირის კანონისა და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტების თაობაზე

კავშირის საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიის თავმჯდომარის მ.-ს. ი. უმახანოვის მოხსენება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესია მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დღეებში. ახლახან დამთავრებულმა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დიდი ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ ამ პლენუმზე გაკეთებულ უაღრესად მკაფიო და ღრმაშინაარსიან მოხსენებაში მთელი სიცხადით არის განსაზღვრული პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ამოცანები სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს საგარეო-პოლიტიკური საკითხების გამო, რომლებშიც ახალი ძალით გამოვლინდა, თუ რა თანამიმდევრულად ახორციელებს პარტია მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკურ კურსს.

სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადებით გამოწვეული მზარდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში საბჭოთა ხალხი შთაგონებით შრომობს მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა შესრულებისათვის.

კაცობრიობის წინაშე მდგომ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა შორის, რომელთა გადაწყვეტა დღეს პრაქტიკულ სიბრტყეშია დაყენებული, შეიძლება დავასახელოთ გარემო ბუნების დაცვის პრობლემა.

ბუნების დაცვის დარგში მოქმედების სახელმძღვანელოა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებანი, რომელმაც თქვა: „ვახორციელებთ რა ღონისძიებებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ იგი შეეუსაბამოთ მზრუნველ დამოკიდებულებას ბუნებრივი რესურსებისადმი, არ გადავაქციოთ ჰაერისა და წყლის საშიში გაჯუჯაობების, მიწის გაჯმოფიტვის წყაროდ. ჰარტია აძლიერებს მომთხოვნელობას საგეგმო, სამეურნეო ორგანოებისა და საპროექტო ორგანიზაციებისადმი; მთელი ჩვენი კადრებისადმი ბუნების დაცვის თვალსაზრისით ახალი საწარმოების დაპროექტებისა და მშენებლობის საქმეში, მოქმედ საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. არა მარტო ჩვენ, არამედ მომავალ თაობებსაც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ ყველა სიკეთით, რომელთაც გვაძლევს ჩვენი სამშობლოს მშვენიერი ბუნება“.

ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხები არსად არ ისმება ისე ფართოდ, როგორც ჩვენს ქვეყანაში. ისინი საბჭოთა სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში დგას მისი არსებობის პირველი დღეებიდანვე. კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი ვ. ი. ლენინი, რომლის დაბადების 110-ე წლისთავი წელს ზეიმით აღნიშნა მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ, ბევრ ძალ-ღონესა და დროს აზმარდა იმას, რომ ხალხის სამსახურში ბუნებრივ სიმდიდრეთა ჩაყენებისას სათუთად, მეცნიერულ საფუძველზე ვიყენებდეთ მათ.

ბუნების დაცვისა და მის სიმდიდრეთა მაქსიმალურად ეფექტიანი, ყაირათიანი გამოყენების ლენინური იდეები რეალურად ისახამს ხორცს კომუნისტური პარტიის პოლიტიკით, საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობით.

ბუნებისადმი სოციალისტური დამოკიდებ

ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ სსრ კავშირის კანონისა და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტების თაობაზე

(დასასრული)

როგორც ცნობილია, თქვა მან შემდეგ, საბჭოთა კავშირი მონაწილეა მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, რომელთა მიზანია ატმოსფერული ჰაერისა და ცხოველთა სამყაროს დაცვა. მაგალითად, 1979 წლის დამლევს საბჭოთა კავშირის ინიციატივით მოწვეულ გარემოს პრობლემებისადმი მიძღვნილ უმაღლესი დონის სრულიად ევროპის თათბირზე დაიდო კონვენცია დიდ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო გაჭუჭყიანების შესახებ. ახალი კანონები სიმედო გარანტია იქნება იმისათვის, რომ საბჭოთა მხარემ შეასრულოს ვალდებულებანი, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს.

ამხ. მ.-ს. ი. უმახანოვი შეეხო ამ კანონპროექტების ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს დებულებასა და თავისებურებას.

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის პროექტი შეიცავს მთელ რიგ პრინციპულად ახალ წესებს, რომელთა მიზანია გაჭუჭყიანებისა და სხვა მავნე ზემოქმედებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაცვის გაძლიერება. საკავშირო კანონით პირველად არის გათვალისწინებული ატმოსფეროში ზღვრულად დასაშვები გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებათა გამონაფრქვევისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმატივების დადგენის მოთხოვნები.

პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგის პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. დიდი ყურადღება ეთმობა ატმოსფეროზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების თავიდან აცილებას. კანონპროექტი შეიცავს მთელ რიგ სხვა დებულებებსაც, რომელთა მიზანია ატმოსფერული ჰაერის დაცვის გაძლიერება.

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის პროექტი შეიცავს მთელ რიგ პრინციპულად ახალ წესებს, რომელთა მიზანია გაჭუჭყიანებისა და სხვა მავნე ზემოქმედებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაცვის გაძლიერება. საკავშირო კანონით პირველად არის გათვალისწინებული ატმოსფეროში ზღვრულად დასაშვები გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გამონაფრქვევისა და მასზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების ნორმატივების დადგენის მოთხოვნები.

პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის დარგის პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. დიდი ყურადღება ეთმობა ატმოსფეროზე მავნე ფიზიკური ზემოქმედების თავიდან აცილებას. კანონპროექტი შეიცავს მთელ რიგ სხვა დებულებებსაც, რომელთა მიზანია ატმოსფერული ჰაერის დაცვის გაძლიერება.

სსკკ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია. საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ფართოდ აქვეყნებენ მოხსენებას, რომელიც პლენუმზე გაკეთა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, პლენუმის დადგენილებებს სკკ მორიგი XXVI ყრილობის მოწვევის, საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ. პრესა აღნიშნავს, რომ სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობა პარტიის XXIV და XXV ყრილობების ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებისათვის და წერს, რომ პლენუმის შედეგები ახალ დიდ ჰორიზონტებს უსახავს საბჭოთა ქვეყანას, კვლავ ცხადყოფს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ღრმა მშვიდობისმოყვარეობას, თანამიმდევრობასა და პრინციპულობას.

სკკ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს ნამდვილად ისტორიული ხასიათი აქვს. ისინი ხელს შეუწყობს სსრ კავშირის კიდევ უფრო სწრაფ და წარმატებულ წინსვლას კომუნისტური მომავლის აკენ, მძლავრ პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს მთლიანად მსოფლიოს მდგომარეობაზე, წერს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ სტატიაში „კომუნიზმისა და პროგრესის მოწინავე რაზმი“.

70-იან წლებში მიღწეული საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის მრავალმხრივი აქტიური საქმიანობის შედეგია, წერს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „რუდე პრავო“. სკკ ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი პლენუმი, მოხსენება, რომელიც პლენუმზე გააკეთა ლ. ი. ბრეჟნევმა, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო, დიადი საბჭოთა ხალხი პირველთა შორის იბრძვიან მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისათვის, ყოველივე იმ სიკეთისათვის, რაც ევროპასა და მსოფლიოს 70-იანმა წლებმა მოუტანა.

მოვლენებმა დაადასტურა, რომ ავღანეთისადმი საბჭოთა კავშირის დახმარება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო. ეს ხაზგასმით აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნის წინ, წერს მოსკოვიდან მიღებულ კორესპონდენციაში საფრანგეთის „ლუმანიტე“. საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ პლენუმზე მიღებულ დადგენილებაში განსაკუთრებით არის აღნიშნული, რომ სსრ კავშირის პოლიტიკა მუდამ ემსახურება მშვიდობასა და დაძაბულობის შენელებას.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“, „ვაშინგტონ პოსტი“, სხვა ამერიკული გაზეთები თვალსაჩინო ადგილებზე ბეჭდავენ მასალებს პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების, პლენუმის დადგენილებების შესახებ. „ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, რომ სსრ კავშირს არა ჰქონია სხვა არჩევანი გარდა იმისა, რომ გაეგზავნა ჯარები ავღანეთში და რომ სსრ კავშირი კვლავაც დაეხმარება ავღანეთს ააშენოს ახალი ცხოვრება და დაიცვას აპრილის რევოლუციის მონაპოვრები“, — წერს „ვაშინგტონ პოსტის“ მოსკოველი კორესპონდენტი. საბჭოთა ხელმძღვანელმა კვლავ დაადასტურა მოსკოვის პოზიცია, რაც იმით გამოიხატება, რომ ვაშინგტონმა და პეკინმა გამოიწვიეს საბჭოთა ჯარების შეყვანის აუცილებლობა.

სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, წერს იაპონური „ასაჰი“, მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული საგარეო-პოლიტიკური კურსი, განაცხადა, რომ დღეც კი არ ჩაივლის ისე, რომ ვაშინგტონმა არ სცადოს განაახლოს „ცივი ომის“ სულისკვეთება, გაალვიოს მილიტარისტული ზრახვები. ამავე დროს საბჭოთა ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა, რომ სსრ კავშირი კვლავაც არ დაიშურებს ძალ-ღონეს, რათა შეინარჩუნოს და გაღრმავოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

საკრებულოს და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

მგკიცდება მეგობრული ურთიერთობა

ინსბრუკი. 25 ივნისი. გულთბილად და სტუმართმოყვარულად შეხვდა ავსტრიის ტიროლის მხარის მთავარი ქალაქის — ინსბრუკის საზოგადოებრიობა საქართველოს სსრ დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია. დელეგაციაში არიან თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ნ. ნეფედოვი და საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ნ. მელაძე. დელეგაცია აქ ჩამოვიდა ინსბრუკის მე-800 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმთან დაკავშირებით.

აგერ უკვე 11 წელიწადზე მეტია, რაც საქართველოსა და ტიროლს შეიქმნა მეგობრული ურთიერთობა აქვთ, რომელიც დამყარდა ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების სამხარეო განყოფილების ინიციატივით. ამ წლების მანძილზე ტიროლის მცხოვრებნი გაეცნენ ქართველი ხალხის მიღწევებს ეკონომიკაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, კულტურაში.

სსრ კავშირის დღეების მოწყობა საქართველოს წარმატებების ჩვენების მაგალითით, გამოფენების მოწყობა, საქართველოსა და ტიროლის შემოქმედებითი კოლექტივების გამოსვლები, დელეგაციების გაცვლა, მეცნიერთა მოხსენებები და ლექციები, საქართველოსა და ტიროლის შესახებ ფილმების ჩვენება — აი ამ თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებათა არსებული ნუსხა.

ინსბრუკის საქალაქო საბჭოს წარმომადგენელი პ. კუმერი მიესალმა დელეგაციას და აღნიშნა, რომ მისი ვიზიტი ხელს შეუწყობს ავსტრიელი და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომ გაღრმავებას. ეს ვიზიტი საშუალებას მოგვცემს ერთმანეთს გავუზიაროთ აზრი და გამოცდილება ტიროლისა და საქართველოს, ინსბრუკისა და თბილისის საზოგადოებრივი და სოციალური განვითარების სხვადასხვა საკითხზე. პ. კუმერმა დელეგაციის წევრებს გადასცა ლამაზად გაფორმებული წიგნი „ინსბრუკი 800 წლისაა“. ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ტიროლის განყოფილების პრეზიდენტმა პროფესორმა ხ. შელენბერგერმა განაცხადა, რომ ტიროლში საქართველოს დელეგაციის ჩამოსვლა კიდევ ერთი ეტაპია ავსტრიის ამ მხარისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების გზაზე. ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოებას თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია ორი ქვეყნის ხალხთა ურთიერთგაგების გაღრმავება.

ფოტოინფორმაცია

მას შემდეგ, რაც ინგლისის ხელისუფლებას კონსერვატორები ჩაუდგნენ სათავეში, ინფლაციის ტემპი ორჯერ გაიზარდა, უმუშევართა რიცხვმა 1,5 მილიონს მიაღწია. ეკონომიკური კრიზისი იმდენად სერიოზულია, რომ, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობის აზრით, მდგომარეობის გამოსწორების იმედიც კი არ ჩანს.

* * *

სურათზე: „განა ამისთვის აძლევდით ხმას?“ — ასეთი მრავლისმეტყველი წარწერა აქვს გაზეთ „ლეიბორ უიკლში“ გამოქვეყნებულ ფოტომონტაჟს.

საკადესის ფოტო.

საერთაშორისო ცხოვრება
დილა ჟურნალი

მშვიდობის კურსით

სკკ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია. საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ფართოდ აქვეყნებენ მოხსენებას, რომელიც პლენუმზე გააკეთა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, პლენუმის დადგენილებებს სკკ მორიგი XXVI ყრილობის მოწვევის, საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ. პრესა აღნიშნავს, რომ სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობა პარტიის XXIV და XXV ყრილობების ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებისათვის და წერს, რომ პლენუმის შედეგები ახალ დიდ ჰორიზონტებს უსახავს საბჭოთა ქვეყანას, კვლავ ცხადყოფს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ღრმა მშვიდობისმოყვარეობას, თანამიმდევრობასა და პრინციპულობას.

მეგობრობის მანიფესტაცია

გუდაკეშტი. ქვეყანაში მოგზაურობა დაამთავრეს საერთაშორისო კოსმოსური ეკიპაჟის წევრებმა ვ. ნ. კუბასოვმა და ბ. ფარკაშმა. მათთან ერთად არიან ერთობლივი ფრენის ხელმძღვანელი კოსმონავტი მფრინავი ა. ს. ელისეევი და უნგრეთის პირველი კოსმონავტიის დუბლიორი ბ. მადიარი. უნგრეთის მიწა-წყალზე შეხვედრა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ურღვევი მეგობრობის მანიფესტაციად გადაიქცა.

სტუმრები ჩავიდნენ სოლონოკის ოლქში. ისინი ეწვიენენ კილიანის სახელობის საავიაციო-ტექნიკურ სასწავლებელს, სადაც უნგრელი კოსმონავტები სწავლობდნენ ფრენის ოსტატობის საიდუმლოებას. ადგილობრივი ქიმიური კომბინატის მშრომელებთან შეხვედრისას გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროსაც კოსმოსის გმირების მეგობრებმა ამხანაგებმა ინტერესით მოისმინეს მათი ნაამბობი ვარსკვლაველთა ქალაქის ცხოვრების კოსმოსური ექსპერიმენტის შესახებ.,

კოსმონავტებს გულთბილად შეხვდნენ ნორჩი პიონერები ბალატონის ტბის ნაპირას მდებარე ბავშვთა საერთაშორისო ბანაკ ზანკაში.

პეკინის საშიში პოლიტიკა

ჰანოი, 25 ივნისი. ჩრდილოეთ ვიეტნამის ქვეყნები, ადრეთვე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთში ხუან ხუას მოგზაურობის შედეგები ვიეტნამელი სანუგეშო გამოდგა ჩინეთის მბრძანებლებისათვის, წერს დღეს სარედაქციო სტატიაში „კუან დო ნიან ზანი“.

ხუან ხუას მოგზაურობის მთავარი მიზანი, აღნიშნავს გაზეთი, იყო ცდა — ჩაება დასავლეთ ევროპის ქვეყნები ანტისაბჭოურ ალიანსში, რომელსაც გეფაციცებით ქმნიან პეკინი და ვაშინგტონი. ჩინელი მინისტრი, რომელსაც პირზე ეკერა გაცვეთილი მითი „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ, რიხიანად მოუწოდებდა გამალებული შეიარაღების გაძლიერებას, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობისადმი კონფრონტაციას. ააღორძინოს „ცივი ომის“ ატმოსფერო, გააძლიეროს დაძაბულობა, ძირი გამოუთხაროს მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების საქმეს — აი, რას ესწრაფვის დღეს პეკინი.

მაგრამ, აღნიშნავს „კუან დო ნიან ზანი“, პეკინის მოწოდებები არ შეესაბამება განწყობილებას, რომელიც დღეს სუფევს ევროპაში. და ეს განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა ხუან ხუას მოგზაურობის დროს. თვით იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირენი არიან ნატოს აგრესიულ ბლოკში, „მას ცივად შეხვდნენ. ამ ქვეყნების ხელმძღვანელობამ მტკიცედ განაცხადა, რომ არ იზიარებს პეკინის შეხედულებებს თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაზე, არ უწონებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას. და ეს არც არის გასაკვირი: ევროპის ხალხებს არა სურთ ომი.

პეკინის საშიშ პოლიტიკას, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისადმი სამხედრო კონფრონტაციის შესახებ, მის წამქეზებლურ მოწოდებებს არ ხვდება და ვერც შეხვდება მოწოდებითა და მზარდაჭერით ფართო პროგრესული და მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა. ერთადერთი შედეგი, რომელიც პეკინს შეიძლება მოუტანოს ასეთმა პოლიტიკამ, ის არის, რომ მას გულისწყრომით დაგმობს მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა, ხაზს უსვამს დასასრულ გაზეთი.

ბულგარელი სტუმარი

საქართველოში სტუმრად არის ბულგარეთის სახალხო ბანკის თავმჯდომარე ვ. ნიკიფოროვი. იგი ეცნობა რესპუბლიკის საბანკო საქმის მდგომარეობას, ეწვევა ჩვენს კულტურულ ცენტრებს.

25 ივნისს გაიმართა ვ. ნიკიფოროვისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. ვარძელაშვილის საუბარი, რომლის დროსაც ბულგარელმა სტუმარმა მიიღო სრული ინფორმაცია ჩვენი რესპუბლიკის წარმატებებზე მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

საუბარს ესწრებოდნენ სსრ კავშირის მშენბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. გოლოვანოვი, სსრ კავშირის სახბანკის პასუხისმგებელი მუშაკი ა. ჩერნიშევი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი ვ. პატეიშვილი და სხვები.

(საქინფორმი).

ღვაწლმოსილის გაცილება

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ოცი წლის ჭაბუკი იყო გიორგი ბრეგვაძე, როცა სოფლის თავკაცობა დააკისრეს. მას შემდეგ ნახევარმა საუკუნემ განვლო და მრავალმა ქარტეხილმაც გადაიარა. ამ დღეებში იგი იუბილარის საკარძელში იჯდა და სხვების მიერ მოყოლილ საკუთარ ბიოგრაფიას ისმენდა.

ომისა და შრომის ვეტერანი, ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის ორდენების, მრავალი საბრძოლო და შრომითი დამსახურების მედლების კავალერი, რესპუბლიკის პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის გამოფენის მრავალგზის მონაწილე გულთბილად დალოცეს ზესტაფონის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა, მეზობელი რაიონებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა.

ღვაწლმოსილმა ყველას მადლობა გადაუხადა, ხოლო ა. წაქაძე, რომელმაც მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტზე შეცვალა იგი, მამაშვილურად დაარიგა და ახალი გამარჯვებები უსურვა შობლიური სოფლის თავკაცობაში.

ო. ნიქაბაძე.

წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაცია

მიმდინარეობს ზუგდიდის რაიონში „კოკისპირული წვიმების შედეგად მომხდარი სტიქიური უბედურების — წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაცია. ორგანიზებულად გამოვიდნენ სამუშაოდ სოფლების კახათის, ანაკლიის, ნარაზენის, დარჩელის მშრომელები, რომლებიც ყველაზე უფრო დაუზარალა სტიქიამ.

გაიხსნა ავტომაქანების მოძრაობა ანაკლიისა და ნარაზენის მიმართულებით. აღდგენილია სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი. მთავრდება დასახლებული პუნქტებისათვის, სამრეწველო საწარმოებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების სამუშაოები.

— რაიონის ყველა მცხოვრებმა მომხდარი ამბავი საკუთარ უბედურებად აღიქვა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. კუტალიამ,—აღდგენითს სამუშაოებში მონაწილეობის მსურველები არ გვაკლია, ხალხი ძალღონის დაუზოგავად შრომობს, რათა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესები შლამის, მორების და ქვა-ღორღისაგან გაწმინდოს. სწრაფად აღადგენენ ღობეებს სასოფლო-სამეურნეო საკარგულების გარშემო.

სოფლის მშრომელები მუშაობენ აგრეთვე გზების აღდგენის, არხების გაწმენდის, დამშრობი ქსელის მოწყობისათვის.

დედაქალაქის საგამოფენო დარბაზებში

გვიჩვენებენ ქურთი მხატვრებს





აი, საბჭოთა საქართველოში მცხოვრებ ხალხთა ძმური მეგობრობის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურება — ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში უამრავი დამთვალიერებელი ჰყავს ქურთი მხატვრების ბასე ჯაფაროვასა და ანტონ მირზოევის პერსონალურ გამოფენას. საგულისხმოა ისიც, რომ ესენი პირველი ქურთი მხატვრები არიან, რომლებმაც თბილისის სამხატვრო აკადემია დამთავრეს.

ამ ახალგაზრდებს უკვე აქვთ სხვადასხვა გამოფენებში მონაწილეობის გამოცდილება. მაგალითად, ბ. ჯაფაროვას თავისი ნამუშევრები გამოუტანია რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე, ამჯერად მან თბილისელთა წინაშე წარმოადგინა დეკორატიული ხალიჩები და გობელენები, რომლებიც გვიბლავს ჩანფიქრით, ტექნიკური შესრულებით და ფერთა ჰარმონიით.

ა. მირზოევს კი ასამდე ფერწერული ტილო წარმოუდგენია. მხატვრის მთავარი თემაა თბილისი, ქალაქი, სადაც მხატვარი დაიბადა და აღიზარდა.

ვ. მაღლაკელიძე.

* * *

სურათებზე: გამოფენის ექსპონატები — ა. მირზოევის „მზითვის ჩვენება“ და „ქურთი ქალი ვიოლინოთი“, ბ. ჯაფაროვას „ოლიმპიური დათუნია“.

ფეხბურთის მინდვრებზე

უმაღლესი ლიგა

გუშინ „ლოკომოტივისა“ და ცსკას მატჩით დაიწყო უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოთხმეტე ტური. შეხვედრა დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით—2:0.

დღეს ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები გაიმართება. „არარატი“ მასპინძლობს კიევის „დინამოს“, „ფახთაქორი“ — „ყაზართს“, „შახტიორი“—„ზენიტს“, მინსკის „დინამო“ — ჩერნომორეცს“, მოსკოვის „დინამო“ — „კარპატს“, „სპარტაკი“ — „ყუბანს“, ასკ — „ტორპედოს“, „ნეფთჩი“ — თბილისის „დინამოს“.

თბილისის „დინამო“ და ბაქოს „ნეფთჩი“ ჩემპიონატების განმავლობაში ერთმანეთს 84-ჯერ შეხვდნენ. აქედან თბილისელებმა მოიგეს 19 მატჩი, 11 შეხვედრა ფრედ დაამთავრეს და 4 წააგეს. ბურთების შეფარდებაა 51:25 თბილისელთა სასარგებლოდ.

პირველი ლიგა

გაიმართა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთვრამეტე ტურის მატჩები. საქართველოს გუნდებმა სტუმრად ითამაშეს. ქუთაისის „ტორპედო“ შეხვდა ვილნიუსის „ჟალგირისს“ და დამარცხდა ანგარიშით 0:2, ხოლო ლანჩხუთის „გუნრიამ“ წააგო შეხვედრა სმოლენსკის „ისკრასთან“ — 1:2.

მეორე ლიგა

მეორე ლიგის მეცხრე ზონის გუნდების საკავშირო ასპარეზობის მეცამეტე ტურის მატჩები საქართველოს გუნდებმა სტუმრად გამართეს. გთავაზობთ შედეგებს: მინგეჩაურის „ავტომობილისტი“-სამტრედიის „ლოკომოტივი“—2:3, ამბროლაურის „კოტაიკი“-გორის „დილა“—3:0, ლენინაკანის „შირაკი“-რუსთავის „მეტალურგი“ — 1:1, ნახიჩევანის „არაზი“-ზუგდიდის „დინამო“ — 2:0, სტეფანაყერტის „ყაბახი“-ფოთის „კოლხეთი“—3:0, ერევნის „არაბკირი“-ბათუმის „დინამო“ — 3:1, ლენქორანის „ხაზარი“-სოხუმის „დინამო“ — 1:0, გათამაშებას 21 ქულით ერთპირველად ლიდერობს სამტრედიის „ლოკომოტივი“. მეორე ადგილზეა ერევნის „არაბკირი“ — 19 ქულა.

უმლიერესის სახელისათვის

საქართველოს საუადრაკო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) უკანასკნელისწინა, მეთოთხმეტე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ პირველი ადგილის ძირითადი პრეტენდენტები — აზმაიფარაშვილი და სტურუა. პარტია გადაიდო აზმაიფარაშვილის უპირატესობით.

ეფიმოვმა მოუგო გედევანიშვილს, მაჟარაშვილმა — ჩიგოგიძეს. გიორგაძე და ნეიერონოვი ყაიმზე შეთანხმდნენ.

აზმაიფარაშვილი 11,5 ქულით და 1 გადადებული პარტიით კვლავ ინარჩუნებს ლიდერობას. სტურუას 9,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, ნანა ალექსანდრიას — 9,5 (1), ზაიჩიკს — 8 (1).

დღეს გათამაშდება გადადებული პარტიები.

სატურნირო ორგიტა

ჰავრაკი. ოდესაში დამთავრდა ქალთა მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩი ტატიანა ლემაჩკოსა (ბულგარეთი) და მარტა ლიტინსკაიას (სსრ კავშირი) შორის. ლიტინსკაიამ მერვე პარტიის მოგებით საბოლოო გამარჯვება მოიპოვა — 5,5:2:5. ნახევარფინალში მისი მეტოქე იქნება ნანა ალექსანდრია. როგორც უკვე ცნობილია, მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ნონა გაფრინდაშვილი და ნანა იოსელიანი. ორივე მატჩი წლეულს სექტემბერში გაიმართება.

ველოსპორტი. „იუგოსლავიის გარშემო“ მრავალდღიან ველოსრბოლაში მეოთხე ეტაპის შემდეგ ლიდერობს საბჭოთა ნაკრები — 20 საათი, 8 წუთი და 28 წამი. მომდევნო ადგილებზე არიან ჩეხოსლოვაკიისა (20:09.06) და იუგოსლავიის (20:10.14) გუნდები. პირად ჩათვლაში პირველ ადგილზეა ბოიან რუპერტი (იუგოსლავია), მეორე-მესამე ადგილებზე არიან საბჭოთა ველოსიპედისტები ნიკოლოზ ანისიმოვი და ალექსანდრე ვედერნიკოვი.

თანამედროვე ხუთჭიდი. დონის როსტოვში მომდინარე საკავშირო რემპიონატს ოთხი დღის შემდეგ ლიდერობს ევგენი ლიპეევი — 42,96 ქულა.

რედაქტორის მოადგილე
ლ. კიკნაძე.

ტელევიზია
26 ივნისი
თბილისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვარჯიშია“, 8.10 — „ბიბეტ-ბერიენგლთათვის“ — ფიზიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას (ფ.), 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმები (ფ.). 18.30 — მოსწავლეთათვის — „ცვლა“ (ფ.), 19.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: ბაქოს „ნეფჩჩი“ — თბილისის „დინამო“. ბაქოდან (ფ.), შესვენების დროს — „ინონარკვევი, 20.45 — „მოამბე“ (ფ.), 21.15 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: მოსკოვის „სპარტაკი“ — კრასნოდარის „ყუბანი“. მეორე ტაიმი (ბ.); 22.00 — „ვრემია“ (ბ.), 22.35 — „ეს ესაჩრაა“... (ფ.). 23.35 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — სტუდენტებისათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია (ფ.), 16.45 — განცხადებები (ფ.), 16.50 — საგანმანათლებლო ტელევიზიის „სპექტაკლი „ბაკურ სულაკაურის“. ნაწილი პირველი (საქართველოს გელევიზიის დადგმა. ფ.), 18.10 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.20 — საგანმანათლებლო სპექტაკლი „ბაკურ სულაკაურის“. ნაწილი მეორე (ფ.), 19.05 — საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმი „დიდი, პატარა, როლი“.

მოსკოვი

პირველი პროგრამით (თბილისის დროით): 09.00 — „ვარჯიშია“, 09.50 — დილის ვარჯიში. 10.15 — ვ. როზოვი „ვაზმობის წინ“, გელესანიძეგალი. დამთავრების შემდეგ და 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — დოკუმენტური გელეფილმები, 16.40 — „ძველი ციხე-დარბაზის ჩრდილები“. მხატვრული გელეფილმი. მე-3 და მე-4 სერიები, 17.50 — მადგასკარის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღის გამო. მადგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის მსახიობთა კონცერტი, 18.30 — გელესტადიონი, 19.00 — ვ. ასგაფეევი „ვარდისფერფაფარა ცხენი“. 19.45 — დღეს მსოფლიოში, 20.00 — ფეხბურთი. „არარატი“-კიევის „დინამო“. მე-2 გაამი, 20.45 — ხალხური მელოდიები, 21.00 — ფეხბურთი. „სპარტაკი“-„ყუბანი“. მე-2 გაამი, 22.00 — „ვრემია“, 23.35 — პოეზიის საღამო. ნ. დორიზო ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიაში, დამთავრების შემდეგ — დღეს მსოფლიოში.

მეოთხე პროგრამით: 20.00 — სოფლის საათი, 21.00 — „ძილი ნებისა, პაპარიბო!“, 21.15 — მეერის სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. დანელოუკი, 21.40 — დოკუმენტური გელეფილმი „აშგის ახალი ცხოვრება“. 21.55 — უკრავს რუსუბელიკის დამსახურებული კოლექტივი — ლიგვის „კამერული ორკესტრი, 22.40 — მხატვრული გელეფილმი „დიალოგი“. მე-3 სერია.

26 ივნისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბრაგეიბა (23-ე აბონ. მე-8 წარმოდგენა); **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რიჩარდ შეაბმ;** ბარგანშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **რეფორმატორი;** ბაბოშვილის სახელობის **ბუსკალური კომედიის — ჩარლზ ლაბიდ;** მეგზეხის თეატრი (თეატრალურ კარაგზე. კომეფნარების ქვედა ბაღი) — **შეშლილმა ხოჭალელ;** მეგზეხის პლაგო — **აზერბაიჯანის სახელმწიფო ინსტიტუტელი ანსამბლი აკადემიკოს ეფიმოვის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით;** ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — **თბილისელ კომპოზიტორთა რესპუბლიკური დათვალიერება.**

ვავი ზღვის სანაოსნო

გატყობინებთ, რომ გაიხსნა ახალი ხაზი ოდესა-ფოთი-სოხუმი-ოდესა.

გემები შედიან ევპატორიაში, სევასტოპოლში, იალტაში, ფეოდოსიაში, ნოვოროსიისკსა და ტუაფსეში.

ხაზს ემსახურებიან თბილისი „კოლხიდა“ და „მოლდავია“.



გემები განრიგის მიხედვით გადიან.

**ბილეთების შეძენა და ცნობების მიღება შეგიძლიათ შესასვლელი ნავსადგურების სალოდნელ ოფისებ